მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ხარისხის განვითარება	
ინიციატორი	სალომე კილაძე განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ილიასსახელმწიფო უნივერსიტეტი. ტელეფონი: 599058661 Salome.kiladze.1@iliauni.edu.ge
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თვითშეფასების ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის ანგარიშის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონის საკანონმდებლო ორგანოსადმი ინტერესი საკმარისად მაღალი არ არის. ამავდროულად, თვითშეფასების ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის ანგარიშში მკაფიოდ არ ჩანს საბჭოს თვითშეფასების მექანიზმების მრავალფეროვნება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების აქტიური ჩართულობით გაიზარდოს რეგიონის საკანონმდებლო ორგანოსადმი დაინტერესების დონე და სხვადასხვა პროცესში მოქალაქეების ჩართულობის მაჩვენებელი.
პრობლემის გადაწყვეტის გზა	პირველ რიგში მნიშვნელოვანია მოქალაქეებისთვის შეიქმნას სახელმძღვანელო (მაგ: ვიდეო პრეზენტაციები, გზამკვლევები და ა.შ) უმაღლესი საბჭს მუშაობის, მიზნისა და ამოცანების გასაცნობად, რომელიც საბჭოს ვებგვერდსა და ყველა სოციალურ ქსელში აიტვირთება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სკოლების, უნივერსიტეტის და პროფესიული დაწესებულებების წარმომადგენლებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან თანამშრომლობა და უმაღლესი საბჭოს მუშაობის შესახებ მოქალაქეების ინფორმირების პროცესში მათი აქტიური ჩართვა. ახალგაზრდებთან დიალოგი და იდეათა გაცვლა ხელს შეუწყობს საბჭოს გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის და ანგარიშვალდებულების გაზრდას. მეორე მხრივ, უმაღლესი საბჭოს მუშაობის განსავითარებლად მნიშვნელოვანია ხარისხის განვითარების მიმართულებით, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება (მაგ: ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების წარმოება). შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით გაუმჯობესდეს თვიშეფასების და მონიტორინგის მექანიზმები. საბჭოს თვითშეფასების მიმართულების გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ამოქმედდეს ელექტონული კითხვარები, რომლებიც მოქალაქეების კმაყოფილების დონეს გაზომავს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია უკუკავშირისა და რაოდენობრივი მონაცემების ვებგვერდზე დიაგრამების სახით წარმოდგენა (მაგალითად: რამდენი კაცი და ქალია ჩართული აღნიშნულ პროცესებში, რომელი მუნიციპალიტეტიდან არის უფრო მეტად ჩართული მოსახლეობა, მნიშვნელოვანია მათი სტატუსი, ყველაზე ხშირად რა რეკომენდაციები

	ფიქსირდება და ა.შ). ასევე, შესაძლებელია ვებგვერდზე ინტეგრირდეს მოქალაქეებისთვის თვითშეფასების კითხვარები, რომლებიც დაადგენს თითოეული მოქალაქის ცოდნისა და ჩართულობის დონეს უმაღლესი საბჭოს მიერ შეთავაზებულ აქტივობებში, რომელებიც ღია მართველობის პრინციპებს ეფუძნება. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გაერთიანებით ჩატარდება მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა, რომლის საფუძველზეც საბჭო დაგეგმავს საპასუხო აქტივობებს. ბოლოს კი, ღია მმართველობის პრინციპების გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია საზოგადოებას შემაჯამებელი ანგარიშები წარდეგინოს, როგორც PDF ასევე ვიდეო პრეზენტაციის სახით.			
მთავარი მიზანი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ხარისხის განვითარება მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით.			
ღია მმართველობის პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალ დებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
განხორციელების ეტაპები	დაწყება:	დასრულება:	ინდიკატორი	
უმაღლესი საბჭოს მუშაობის, უკუკავშირის სახელმძღვანელოს მომზადება და გავრცელება მოქალაქეთა ჩართულობით	09. 2022	01.2023	1. სახელმძღვანელო შეიქმნა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით. 2. უმაღლესი საბჭოს მუშაობის, უკუკავშირის მექანიზმების შესახებ ინფორმაციული ვიდეო ჩანაწერები გავრცელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში. 3. საბჭოს საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანიები განხორციელდა სტუდენტებისთვის, მოსწავლეებისთვის. 4. საბჭოს საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანიები განხორციელდა სტუდენტებისა და მოსწავლეების ჩართულობით.	
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით უმაღლესი საბჭოს თვითშეფასების მექანიზმების გაუმჯობესება	02.2023	03. 2023	1. თვითშეფასების მექანიზმებიშეიქმნა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით.	
დაინტერესებულ მხარეთა და მოქალაქეთა ჩართულობით	04. 2023	06. 2023		

უმაღლესი საბჭოს მუშაობისმონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება			1. საბჭოს მუშაობის მონიტორინგის მექანიზმები შეუმუშავდა დაინტერესებულმხარეთა ჩართულობით. 2. საბჭოს მუშაობის მონიტორინგის მექანიზმები შეუმუშავდა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით.
უმაღლესი საბჭოს მუშაობით აჭარისავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევის ჩასატარებლად კვლევითი ორგანიზაციის მოძიება	07.2023	08.2023	1. მემორანდუმი გაფორმდა კვლევით ორგანიზაციასთან.
კვლევის ჩასატარებლად ბიუჯეტისდადგენა და დამტკიცება	09.2023	10.2023	1. კვლევის ჩასატარებლად დამტკიცდა და გამოიყო ბიუჯეტი.
უმაღლესი საბჭოს მუშაობით აჭარისავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევის ჩატარება	11.2024	04.2024	1. კვლევით ორგანიზაციასთან თანამშრომლობით შეიქმნა კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია. 2. კითხვარი შეავსო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 5000-მა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა. 3. ჩატარდა 10 ფოკუს-ჯგუფი. 4. ჩატარდა სამაგიდე კვლევა.
უმაღლესი საბჭოს მუშაობით აჭარისავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევის ანგარიშის მომზადება	05. 2024	06.2024	1. კვლევის ანგარიში (PDF ფორმატი) აიტვირთა საბჭოსვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში. 2. შეიქმნა და გამოქვეყნდა კვლევის ანგარიშის ვიდეო პრეზენტაცია.
მოქალაქეებისთვის ელექტრონული თვითშეფასების კითხვარების შექმნა (მოქალაქეების ცოდნისა და ჩართულობის დონის გასაზომად)	07.2024	08.2024	1. ვებგვერდზე პროგრამულად შესაძლებელია ელექტრონული თვითშეფასების კითხვარების საშუალებით მოქალაქეების ცოდნისა და ჩართულობის დონის გაზომვა.

ვებგვერდზე სტატისტიკური მონაცემების დიაგრამების სახით წარმოდგენა (რამდენი მოქალაქე ერთვება უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებულ აქტივობებში გენდერის,სტატუსის, ასაკის, მუნიციპალიტეტის მიხედვით)	09.2024	12.2024	1. ვებგვერდზე ინტეგრირდა ანალიტიკური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცმების დახარისხებას დიაგრამების სახით.